

ფინანსური აღრიცხვა. I სემესტრი 2018-2019 წელი (ფინანსური გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

საწარმომ დააბანდა 10000 ლარი 2 წლის ვადით, წლიური 10%-იანი განაკვეთით. განსაზღვრეთ დაბანდებული თანხის მომავალი ღირებულება.

გამოიყენეთ ფორმულა: $FV = PVX(I + i)^n$

აირჩიეთ ერთი:

- a. 11000 ლარი
- b. 12100 ლარი
- c. 12000 ლარი

კითხვა 2

კომპანიას სურს, რომ 2 წლის შემდეგ 10%-იანი განაკვეთის პირობებში მიიღოს 48400 ლარი. რა თანხა უნდა დააბანდოს კომპანიამ დღეს? გამოიყენეთ ფორმულა: $PV = FV / ((1 + i)^n)$

აირჩიეთ ერთი:

- a. 45000 ლარი
- b. 40000 ლარი
- c. 42000 ლარი

კითხვა 3

საწარმოს მიერ მიწოდებულ საქონელზე მიღებული თამასუქის ნომინალური ღირებულება შეადგენს 12000 ლარს. წლიური საპროცენტო განაკვეთი 15% -ია. თამასუქის დაფარვის ვადა 60 დღე. მისაღები საპროცენტო თანხა შეადგენს:

აირჩიეთ ერთი:

- a. 1800 ლარს
- b. 900 ლარს
- c. 295 ლარს

კითხვა 4

საწარმომ 2018 წლის 1 სექტემბერს სხვა საწარმოზე გასცა სესხი 300 000 ლარის ოდენობით 6 თვის ვადით წლიური 10%-ანი განაკვეთით. საწარმომ პროცენტი უნდა მიიღოს თვეში ერთხელ. 2018 წლის საპროცენტო შემოსავალი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. 15000
- b. 10000
- c. 30000

კითხვა 5

2018 წლის 31 დეკემბერს შპს „ყაზბეგის“ დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) შეადგენდა 90000 ლარს. საწარმოს მენეჯერი ვარაუდობს, რომ დებიტორული დავალიანების 3% საეჭვოა. დებიტორული დავალიანების ნეტო თანხა ბალანსში არის (ლარი):

აირჩიეთ ერთი:

- a. 87300
- b. 89100
- c. 85500

კითხვა 6

ბასს-ის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. მიმდინარე საბაზრო ღირებულების მეთოდი
- b. უწყვეტი და წყვეტილი მეთოდი
- c. ინდივიდუალური დანახარჯების მეთოდი; საშუალო-შეწონილი ღირებულების მეთოდი; „FIFO“ მეთოდი

კითხვა 7

მარაგების აღრიცხვაში საშუალო-შეწონილი მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ თითოეული დასახელების მარაგის ღირებულება განისაზღვრება:

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ პერიოდის განმავლობაში მიღებული და გასული (დახარჯული) მარაგების საშუალო შეწონილი ფასებით
- b. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- c. პერიოდის დასაწყისში არსებული, აგრეთვე პერიოდის განმავლობაში მიღებული და გასული (დახარჯული) მარაგების საშუალო შეწონილი ფასებით.

კითხვა 8

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვაში გამოიყენება აღრიცხვის შემდეგი მეთოდები:

აირჩიეთ ერთი:

- a. გასაყიდი ფასებით აღრიცხვის მეთოდი
- b. მუდმივი (უწყვეტი) და პერიოდული აღრიცხვის მეთოდი
- c. თვითღირებულების მეთოდი

კითხვა 9

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მუდმივი (უწყვეტი) აღრიცხვა გულისხმობს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი - ხარჯად ჩაითვლება ის, რაც გადაეცა წარმოებას ან გაიყიდა.
- b. მატერიალური ფასეულობების შემოსვლისა და ხარჯვის ან რეალიზაციის მუდმივ აღრიცხვას მოძრაობის ყველა სტადიაზე
- c. ორივე პასუხი სწორია

კითხვა 10

ძირითადი საშუალებების შემენის თვითღირებულება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

აირჩიეთ ერთი:

- a. შესყიდვის ფასი; საიმპორტო გადასახადი, საბაჟო მოსაკრებლები; დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის მომზადების ხარჯები; ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები
- b. ადმინისტრაციული ხარჯები
- c. ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციის სწავლების ხარჯები

კითხვა 11

2018 წლის 1 ოქტომბერს საწარმომ 200000 ლარად შეიძინა აგურის შენობა. ცვეთის წლიური ნორმა შეადგენს 0,7% -ს. შენობის ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. 197200 ლარი
- b. 195600 ლარი
- c. 199650 ლარი

კითხვა 12

ლუდის ქარხანამ 60000 ლარად შეიძინა ლუდის სავაჭრო ნიშანი. ყველა ოპერაცია განხორციელდა საბანკო გადარიცხვით. შექმნილი არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრა 10 წლით. ასახეთ ბუღალტრულად ლუდის სავაჭრო ნიშნის შექმნა.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 60000
კრედიტი „ძირითადი საშუალებები“ 60000
- b. დებეტი „ძირითადი საშუალებები“ 60000
კრედიტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 60000
- c. დებეტი 2500 „არამატერიალური აქტივები“ 60000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 60000

კითხვა 13

საკონდიტრო საწარმომ შეიძინა ნამცხვრის დამზადების რეცეპტი, რისთვისაც გადაიხადა 5000 ლარი. რეცეპტის ამორტიზაციის ვადა განისაზღვრა 5 წლით. ამორტიზაციის გაანგარიშებისათვის შერჩეულ იქნა წრფივი მეთოდი. მეოთხე წლის ბოლოს რეცეპტი გაიყიდა 3000 ლარად. რეცეპტის რეალიზაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. 1000 ლარი მოგება
- b. 6000 ლარი მოგება
- c. 2000 ლარი მოგება

კითხვა 14

შემენილია მიმწოდებლებისაგან მასალები, თანხა გადარიცხულია ბანკიდან. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- b. დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი 1620 „ნედლეული და მასალები“
- c. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“

კითხვა 15

დარიცხულია მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება, თანხა გადახდილი არ არის. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 1630 „დაუმთავრებელი წარმოება“
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- b. დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- c. დებეტი 1630 „დაუმთავრებელი წარმოება“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“

კითხვა 16

საწარმომ აიღო მოკლევადიანი სესხი, რომელიც ჩაირიცხა ანგარიშსწორების ანგარიშზე. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი „მოკლევადიანი სესხი“
კრედიტი „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- b. დებეტი „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
კრედიტი „მოკლევადიანი სესხი“
- c. დებეტი „არასაოპერაციო შემოსავალი“
კრედიტი „მოკლევადიანი სესხი“

კითხვა 17

დარიცხულია მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი „ხელფასის ხარჯი“
კრედიტი „გადასახდელი ხელფასები“
- b. დებეტი „ხელფასის ხარჯი“
კრედიტი „ნაღდი ფული ეოვნულ ვალუტაში“
- c. დებეტი „გადასახდელი ხელფასი“
კრედიტი „ნაღდი ფული ეოვნულ ვალუტაში“

კითხვა 18

დაუკავდათ მუშა-მოსამსახურეებს საშემოსავლო გადასახადი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი 7120 „ხელფასის ხარჯი“
- b. დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი 3320 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“
- c. დებეტი 7120 „პირდაპირი ხელფასი“
კრედიტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“

კითხვა 19

საწარმომ შეიძინა 10000 ლარის საქონელი 10 სექტემბერს. პირობა: 2/10, ნ. 30. საწარმო იყენებს ვალდებულებების მთლიანი თანხით აღრიცხვის მეთოდს. საწარმომ ისარგებლა ფასდათმობის პირობით და თანხა გადაიხადა 20 სექტემბერს. ასახეთ ბუღალტრულად მომწოდებელზე თანხის გადარიცხვა და არასაოპერაციო შემოსავლები.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 10000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 10000
- b. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 10000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 9800
კრედიტი 8190 „სხვა არასაოპერაციო შემოსავლები“ 200
- c. დებეტი „არასაოპერაციო შემოსავლები“ 10000
კრედიტი „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 10000

კითხვა 20

საწარმომ მყიდველისაგან ავანსად მიიღო თანხა მომავალ პერიოდში მისაწოდებელი პროდუქციისათვის. ასახეთ ბუღალტრულად თანხის მიღება.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“
კრედიტი 3120 „მიღებული ავანსები“
- b. დებეტი 3120 „მიღებული ავანსები“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“

- c. დებეტი „1480 „მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“

კითხვა 21

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის წლიური მოგება შეადგენს 200 000 ლარს. საანგარიშო პერიოდში მიმდინარე მოგების გადასახდელების სახით გადახდილია 16000 ლარი. მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია. რა თანხის გადახდა მოუწევს ორგანიზაციას წლის ბოლოს?

აირჩიეთ ერთი:

- a. 30000
 b. 2400
 c. 14000

კითხვა 22

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის წლიური მოგება შეადგენს 200 000 ლარს. მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია. ასახეთ ბუღალტრულად წლიური მოგების გადასახადის დარიცხვა.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 5330 „მოგება/ზარალი“ 30000
კრედიტი 3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი“ 30000
- b. დებეტი 3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი“ 30000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 30000
- c. დებეტი 3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი“ 30000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 30000

კითხვა 23

მყიდველს მიეწოდა 2000 ლარის საქონელი. დღგ 18% - 360 ლარი. სულ ასანაზღაურებელი თანხა - 2360 ლარი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება დღგ თანხის დარიცხვაზე.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“
- b. დებეტი 3330 „გადასახდელი დღგ“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“
- c. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“
კრედიტი 3330 „გადასახდელი დღგ“

კითხვა 24

საწარმომ შექმნა საგარანტიო მომსახურების რეზერვი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 7470 „საგარანტიო მომსახურების ხარჯები“
კრედიტი 3430 „ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე“

- b. დებეტი 3430 „ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე“
კრედიტი 7470 „საგარანტიო მომსახურების ხარჯები“
- c. დებეტი 3430 „ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“

კითხვა 25

აქციების გამოშვება ხელმოწერით ნიშნავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. აქციონერები ხელს აწერენ კონტრაქტს, რომელშიც მითითებულია მათი ვალდებულება, რომ შეიძენენ მხოლოდ გამოსყიდულ აქციებს
- b. აქციონერები ხელს აწერენ კონტრაქტს, რომელშიც მითითებულია მათი ვალდებულება, რომ შეიძენენ მხოლოდ პრივილეგირებულ აქციებს
- c. აქციონერები ხელს აწერენ კონტრაქტს, რომელშიც მითითებულია მათი ვალდებულება, რომ შეიძენენ აქციების განსაზღვრულ რაოდენობას

კითხვა 26

სააქციო საზოგადოებამ გაყიდა 50000 ცალი ჩვეულებრივი აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარის ტოლია. აქციები გაიყიდა ნომინალური ღირებულებით. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 5110 „ჩვეულებრივი აქციები“ 50000
- b. დებეტი 5110 „ჩვეულებრივი აქციები“ 50000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
- c. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 5140 „საემისიო კაპიტალი“ 50000

კითხვა 27

სააქციო საზოგადოებამ გაყიდა 50000 ცალი ჩვეულებრივი აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარის ტოლია. აქციები გაიყიდა 1,5 ლარად. ასახეთ ბუღალტრულად საემისიო კაპიტალი.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 25000
კრედიტი 5140 „საემისიო კაპიტალი“ 25000
- b. დებეტი 5140 „საემისიო კაპიტალი“ 25000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 25000
- c. დებეტი 5110 „ჩვეულებრივი აქციები“ 25000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 25000

კითხვა 28

ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხულია მიწოდებული საქონლის ღირებულება 50000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად თანხის ჩარიცხვა და შემოსავლის აღიარება.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 50000
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 50000
- b. დებეტი 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ 50000
კრედიტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 50000
- c. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 50000

კითხვა 29

საწარმომ ხუთი წლის ვადით იჯარით გასცა ერთ-ერთი საამქროს შენობა, რისთვისაც მას წინასწარ გადაუხადეს 180000 ლარი. ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 3000 ლარს ($180000 : 60$). შეადგინეთ ბუღალტრული გატარება საიჯარო თანხის შემოსავლად აღიარებაზე.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 180000
კრედიტი 3120 „მიღებული ავანსები“ 180000
- b. დებეტი 3120 „მიღებული ავანსები“ 180000
კრედიტი 8190 „სხვა არასაოპერაციო შემოსავალი“ 180000
- c. დებეტი 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“ 180000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 180000

კითხვა 30

საწარმოს საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის დასაწყისში 80000 ლარს შეადგენდა. იმავე პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 25000 ლარი, ხოლო შემოსავლებმა 55000 ლარი. კაპიტალის ამოღება 2000 ლარს შეადგენს. საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის ბოლოს არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. 108000 ლარი
- b. 30000 ლარი
- c. 28000 ლარი

კითხვა 31

საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაირკვა, რომ საწარმოს მისაღები აქვს დივიდენდი 300000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლის დარიცხვა.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი 8120 „შემოსავალი დივიდენდებიდან“ 300000
კრედიტი 1810 „მისაღები დივიდენდები“ 300000
- b. დებეტი 1810 „მისაღები დივიდენდები“ 300000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 300000
- c. დებეტი 1810 „მისაღები დივიდენდები“ 300000
კრედიტი 8120 „შემოსავალი დივიდენდებიდან“ 300000

კითხვა 32

საწარმოს მიერ იანვრის თვეში გაწეული მომსახურების ღირებულება 60000 ლარია. იანვარში საწარმოს საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულია 40500 ლარი, რომელიც მოიცავს თებერვალში გასაწევი მომსახურების 15000 ლარს და მარტში გასაწევი მომსახურების ღირებულების 7000 ლარს. საწარმოს იანვრის თვის შემოსავალი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. 60000 ლარი
- b. 22000 ლარი
- c. 40000 ლარი

კითხვა 33

არასაოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. კომერციული ხარჯები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები
- b. პროდუქციისა და საქონლის თვითღირებულება
- c. სესხის პროცენტები, საიჯარო ხარჯები, სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული ხარჯები

კითხვა 34

ბანკის მიმდინარე ანგარიშიდან გადახდილია შენობის იჯარის ქირა 30000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად იჯარის ხარჯი.

აირჩიეთ ერთი:

- a. დებეტი „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 30000
- b. დებეტი „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი „მიმდინარე ანგარიში ბანკში“ 30000
- c. დებეტი „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 30000

კითხვა 35

საწარმოში პროდუქციის გამოშვებაზე გაწეულია შემდეგი სახის ხარჯები:

მასალები 30000

მუშების ხელფასი 25500

მანქანა-დანადგარების ცვეთა 3000

ელექტროენერგიის ხარჯები 2000

მ.შ. ადმინისტრაციული შენობის (500)

მინისტრაციული პერსონალის ხელფასი 1000

დისტრიბუტორების ხელფასი 800

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 1200

პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი წარმოების ნაშთი შეფასდა 12000 ლარად. გამოშვებული იქნა 1600 ერთეული პროდუქცია. აქედან რეალიზებული იქნა 1000 ერთეული. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. 17304 ლარი
- b. 39687 ლარი
- c. 30000 ლარი

კითხვა 36

საწარმოს გააჩნია შემდეგი მაჩვენებლები: გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით 115000; უნაღლო ანგარიშსწორებით შემდგომი გადახდის პირობით 25000; გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება 6000; შესყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით 35500; შესყიდვები შემდგომი გადახდის პირობით 8000; მარაგის ნაშთი პერიოდის ბოლოს 10000; ფასნამატი რეალიზებულ პროდუქციაზე - 30%. მმარაგების საწყისი ნაშთი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. 69000 ლარი
- b. 75000 ლარი
- c. 69577 ლარი

კითხვა 37

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები
- b. საცდელი ბალანსი
- c. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ; ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

კითხვა 38

ბუღალტრული ბალანსის ელემენტებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. შემოსავლები და ხარჯები
- b. ვალდებულებები, მოგება-ზარალი
- c. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი

კითხვა 39

მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგების ელემენტებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. შემოსავლები და ხარჯები
- b. მოგება ან ზარალი
- c. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი

კითხვა 40

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება უნდა შედგეს:

აირჩიეთ ერთი:

- a. საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით
- b. მხოლოდ საოპერაციო საქმიანობების მიხედვით
- c. მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით